თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 22 ნოემბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. ბიძინა ბუცხრიკიძე, 4. კობა კაცაძე, 5. ჯემალ ისაკაძე, 6. შალვა ჭანკვეტაძე, 7. გოჩა ვერულაშვილი, 8. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. მერაბი ბასილაძე, 2. ივანე ჩუბინიძე, 3. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282332564, 22.11.2023 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ თუზში, მე -8 ქუჩა №4 -ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მრავალწლიანი ნარგავები) 5162 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 5 (ხუთი) წლის ვადით მოქალაქე ავთანდილ კოჩაძისათვის გადაცემა) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282330389, 30.10.2023 წ.).

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია უძრავი ქონება, რომელიც შესაძლებელია საინტერესო იყოს საპრივატიზაციოდ. შესაბამისად მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს მათი პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა აღნიშნული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა:

1. ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების 979კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ. 33.09.42.236) – 34 300 (ოცდათოთხმეტიათას სამასი) ლარი.
2. ქ.თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 947 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ.33.09.42.530) – 28 400 (ოცდარვაათას ოთხასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ თუზში, მე -8 ქუჩა №4 - ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მრავალწლიანი ნარგავები) 5162 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 5 (ხუთი) წლის ვადით მოქალაქე ავთანდილ კოჩაძისათვის გადაცემა) განკარგულების პროექტი - მიწის ნაკვეთის იჯარით აღებას ითხოვს მოქალაქე ავთანდილ კოჩაძე შემდგომში მასზე დასასვენებელი სკვერის მოწყობისა და მოვლა-პატრონობის მიზნით. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საიჯარო ქირის საორინტაციო ღირებულებად განისაზღვრა თვეში 100 ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ თუზში, მე -8 ქუჩა №4 -ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მრავალწლიანი ნარგავები) 5162 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 5 (ხუთი) წლის ვადით მოქალაქე ავთანდილ კოჩაძისათვის გადაცემა).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე